



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მემორანდუმი

საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს მთავრობა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა (შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი),

ისწრაფვიან რა, გააძლიერონ ურთიერთთანამშრომლობა ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისთვის;

ადასტურებენ რა, საერთო ევროპული ღირებულებებისადმი ერთგულებას;

აღიარებენ რა, სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან როლს ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში „ასოცირების შესახებ შეთანხმება“) განხორციელებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ დიალოგსა და რეფორმებში;

იზიარებენ რა, თანამშრომლობის ინსტიტუციური მექანიზმების განვითარების გზით ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მნიშვნელობას;

ისწრაფვიან რა, უზრუნველყონ ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების გამჭვირვალობა;

ადასტურებენ რა, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და მისი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) კომპონენტის მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის;

აცნობიერებენ რა, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხების შესახებ ცნობადობის ზრდის, ევროპული ფასეულობების პოპულარიზაციისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საჭიროებას;

აცნობიერებენ რა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება საქართველოს კიდევ უფრო დაახლოებს ევროკავშირის წევრობასთან;

იზიარებენ რა, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად შექმნილი ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმისმომავალ თანამშრომლობაში ჩართვის აუცილებლობას,

თანხმდებიან შემდეგზე:

1. მხარეები ხელს შეუწყობენ ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც, თავის მხრივ, დააჩქარებს საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს.

2. მხარეები ხელს შეუწყობენ საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის, მათ შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას.

3. მხარეები გააღრმავებენ თანამშრომლობას ასოცირების შესახებ შეთანხმების 412-ე და 413-ე მუხლების გათვალისწინებით, შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- საქართველოს მთავრობისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიერ ყოველწლიური მაღალი დონის ერთობლივი კონფერენციის გამართვა;
- სექტორული თანამშრომლობის ცალკეულ სფეროებზე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების სექტორული სამუშაო შეხვედრების გამართვან თვეში ერთხელ;
- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის მიერ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის სახელით წარდგენილი ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან უშუალოდ დაკავშირებული, მნიშვნელოვანი წინადადებებისა და პოლიტიკის დოკუმენტების განხილვის უზრუნველყოფა.

მემორანდუმი შედგენილია ქართულენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

ხელმოწერილია ქ. თბილისში, 2015 წლის 13 ნოემბერს.